

საქართველო

ინვესტორთა საბჭოს სხდომა

20 მაისი, 2016

დღის წესრიგი

მონაწილეები:

- გიორგი კვიციანი, თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი
- დიმიტრი ქუმსიშვილი, ვიცეპრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი
- კახა კალაძე, ვიცეპრემიერი, ენერჯეტიკის მინისტრი
- ნოდარ ხადური, ფინანსთა მინისტრი
- ოთარ დანელია, სოფლის მეურნეობის მინისტრი
- ნოდარ ჯავახიშვილი, ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების მინისტრი
- გიორგი გახარია, ბიზნეს ომბუდსმენი
- სარა უილიამსონი, ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი
- გიორგი ჭირაქაძე, პრეზიდენტი, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
- ნინო ჩიქოვანი, პრეზიდენტი, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა
- ზვიად ჭუმბურიძე, ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს საბჭო
- ფადი ასლი, თავმჯდომარე, საერთაშორისო სავაჭრო პალატა
- ბრუნო ბალვანერა, კავკასიის, მოლდოვას და ბელორუსის დირექტორი, ევრობანკი
- იან ვან ბილსენი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, რეგიონალური მენეჯერი სამხრეთ კავკასიაში
- იეშიმ იელანი, დირექტორი, მუდმივი წარმომადგენლობა საქართველოში, აზიის განვითარების ბანკი
- მარიამ მეღვინეთუხუცესი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსი

მოწვეული სტუმრები:

- თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი
- გელა დუმბაძე, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი
- გიორგი თაბუაშვილი, ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე
- ლაშა ხუციშვილი, ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე
- გიორგი პერტაია, საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელი
- მერსი ტემბონი, მსოფლიო ბანკის მისია
- ერიკ ლივნი, პრეზიდენტი ISET, საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეკონომიკური კომიტეტის თავმჯდომარე
- ლორეტა მარტიკიანი, ევრობანკი
- ჯორჯ უელტონი, აღმასრულებელი დირექტორი, ამერიკის სავაჭრო პალატა

- ირაკლი ასლანიშვილი, აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
- გიორგი ჩხეიძე - პროექტის ხელმძღვანელი, USAID-ის პროექტი „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“
- გიორგი ჯუღელი, იურიდიული ექსპერტი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნო
- გივი გიორგაძე, ბიზნეს ანალიტიკოსი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნო

ინფორმაცია 2016 წლის 17 თებერვლის ინვესტორთა საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების პროგრესის შესახებ

1. საგადასაადლო ადმინისტრირება:

ინვესტორთა საბჭო ინტენსიურად თანამშრომლობს შემოსავლების სამსახურთან საგადასახადო რეფორმის პროცესში კერძო სექტორის ჩართულობის სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებისთვის.

ინვესტორთა საბჭო მიესალმება მთავრობის გადაწყვეტილებას ესტონური მოდელი ძალაში შევიდეს 2017 წლის 1 იანვრიდან; ხოლო დღესდღეობით მნიშვნელოვანია ამ მოდელის დანერგვის პროცესი იყოს გეგმაზომიერი და გამჭვირვალე.

შეკითხვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს: როგორ მიმდინარეობს ესტონური მოდელის დანერგვის პროცესი და როგორ უყურებთ ჩვენს ჩართულობას ამ პროცესში?

ამერიკის სავაჭრო პალატა ამერიკის განვითარების პროგრამასთან ერთად გაუძღვება დიალოგს ბიზნესებთან საგადასახადო აუდიტის პროცესზე. ეს სამუშაო შესრულდება ასევე ესტონური მოდელის დანერგვის პროექტთან ერთად, და საგადასახადო სისტემის შემდგომი რეფორმირების საკითხებს უკავსირდება.

ინვესტორთა საბჭოს სამუშაო ჯგუფმა საქართველოს შემოსავლების სამსახურის თხოვნით მოამზადა ტექნიკური დავალება ტექნიკური დახმარების პროექტისათვის, სახელწოდებით: მარეგულირებელი კანონმდებლობის ზეგავლენის შეფასება მომსახურების გაწევის ადგილის განსაზღვრისთვის ევროკავშირის დღგ-ს დირექტივის შესაბამისად

ინვესტორთა საბჭოს სამდივნომ მიმართა ბრიტანეთის "კარგი მმართველობის ფონდს" ზემოაღნიშნული პროექტის დასაფინანსებლად. პროექტის დაწყება ივარაუდება 2016 წლის ივნისში.

- მომხსენებელი
სარა უილიამსონი, ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი

2. ერთიანი მომსახურების სივრცე უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორებისთვის

ინვესტორთა საბჭოს მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი თანამშრომლობს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ბიზნესის ერთიანი მომსახურების სივრცის კონცეფციის ჩამოსაყალიბებლად.

გაიმართა რამოდენიმე სამუშაო შეხვედრა და ყალიბდება სამოქმედო გეგმა.

- მომხსენებელი

ნინო ჩიქოვანი, პრეზიდენტი, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა

3. საკანონმდებლო ინიციატივა უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით;

ინვესტორთა საბჭოს სამდივნოსა და ამერიკის სავაჭრო პალატის მიერ შემუშავებული კანონპროექტი სარჩელის უზრუნველყოფის პრაქტიკასთან დაკავშირებით განიხილება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ. შედგა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა და პროექტი საბოლოო სახით წარედგინება პარლამენტს განსახილველად.

- მომხსენებელი

მარიამ მელვინეთუხუცესი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსი

განსახილველი საკითხები:

1. სასამართლო რეფორმა

ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს მიერ შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა ჩამოაყალიბა სასამართლო სისტემის შემდგომი რეფორმისთვის პრიორიტეტული 5 საკითხი, რომელიც წარედგინება ინვესტორთა საბჭოს წევრებს განსახილველად.

პრიორიტეტული საკითხები ეხება არსებულ კანონმდებლობას, ასევე სასამართლო რეფორმის "მესამე ტალღის" საკანონმდებლო პაკეტს.

შეთავაზება უკავშირდება ბიზნესებისათვის მნიშვნელოვან თემებს, მათ შორის მოსამართლეთა კვალიფიკაციის საკითხს კომერციულ დავებთან დაკავშირებით. დოკუმენტი ეხება საქართველოს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას და ეფექტურობას, ასევე მოსამართლეებისა და სასამართლოს თავმჯდომარეების დანიშვნის, საქმეთა განაწილებისა და ქართული სასამართლოს დატვირთულობის საკითხებს.

სამდივნოს მიერ შემუშავდა ტექნიკური დახმარების პროექტი, რათა განისაზღვროს მოსამართლეთა და სასამართლოს თანამშრომელთა ოპტიმალური დატვირთულობა. სამდივნო მიმართავს დონორებს ამ ტექნიკური დახმარების პროექტის დაფინანსების მოსაპოვებლად. პროექტი შეაფასებს სასამართლოს გადატვირთულობის მასშტაბს და, პრობლემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩამოაყალიბებს მისი გადაჭრის გზებს.

- მომხსენებელი

სარა უილიამსონი, ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი

2. მეწარმეთა შესახებ კანონში შესატანი ცვლილების პროექტი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მუშაობს მეწარმეთა შესახებ ახალ კანონზე, რომლის მიღებაც არ იგეგმება 2016 წლის მანძილზე. ბიზნესების მოთხოვნით ინვესტორთა საბჭომ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა მეწარმეთა კანონში შესატანი აუცილებელი ცვლილებების პროექტი სამეწარმეო კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად. სასურველია, რომ შემოთავაზებული ცვლილებები ასევე გათვალისწინებულ იქნას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულ ახალ კანონში "მეწარმეთა შესახებ".

სამუშაო ჯგუფის მიერ შემოთავაზებული ცვლილებები მოიცავს:

- მინორიტარი აქციონერების უფლებების გაზრდას, აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევისთვის;
- გასანაწილებელი მოგების ცნებისდაზუსტებას;
- ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმისა და პარტნიორთა უპირატესი შესყიდვის უფლებების დებულებათა დახვეწას;
- არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებული გადაწყვეტილების ერთხმად მიღების სავალდებულო წესისგან კორპორაციების განთავისუფლებას;

- მომხსენებელი

გიორგი ჭირაქაძე, პრეზიდენტი, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია

3. გადახდისუუნარობის რეფორმა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მუშაობს გადახდისუუნარობის რეფორმაზე გერმანიის საერთაშრისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან ერთად (GIZ). როგორც ეს ნახსენები იყო ინვესტორთა საბჭოს წინა შეხვედრაზე, გამომდინარე გადახდისუუნარობის რეფორმის კომპლექსური და მულტიდისციპლინური ხასიათიდან, რეფორმა უმჯობესია განხორციელდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით.

ბიზნესთან ადრეული კონსულტაციები და ინფორმაციის გაზიარება, მათ შორის, კონცეფციის დონეზე, მისასაღმებელი იქნება, გამომდინარე ბიზნესებისათვის ამ რეფორმის განსაკუთრებული აქტუალობიდან.

4. ინვესტორთა საბჭოს მომდევნო სხდომის თარიღის და დღის წესრიგის დამტკიცება

შემოთავაზებული განსახილველი საკითხი:

საპენსიო რეფორმა როგორც ქვეყნისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამომავლო რეფორმა.

5. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის გელა დუმბაძის პრეზენტაცია სამინისტროს ორი ახალი ინიციატივის შესახებ

6. სხვადასხვა